

ემიგრანტის მონანიება



სიტყვას ითხოვს მკითხველი

იხილეთ მე-2 გვერდზე

რა პრობლემებს აწყდება მოსახლეობა სოფლის ქრახუბის ჩამოყალიბებისას?



იხილეთ მე-3 გვერდზე

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



„გვირილობა“ — გაზეთის თავისი ქუჩა

ქუთაისში ტრადიციული დღესასწაული — ქუთაისობა (გვირილობა) აღინიშნება. 2-დან 7 მაისის ჩათვლით ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა კულტურული, სპორტული ღონისძიება და კონცერტი დაგეგმილი.

გაიმართება ყვავილების ფესტივალი, თეატრალიზებული მსვლელობები, მე-20 საუკუნის ქუთაისის ცენტრალური ნაწილის ფოტოების გამოფენა, ქართული ხალხური ტრადიციული რეჟის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, როკ-კონცერტი, წიგნების პრეზენტაციები, საგამოფენო დარბაზებში გამოიფინება

სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრები, თითქმის ყოველდღე თეატრების სცენები დაემოხება სხვადასხვა ჟანრისა და მიმდინარეობის ხელოვნება კონცერტებს, გვირილობის დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქში სამზადისი წინასწარ დაიწყო. ერთ-ერთი სასიამოვნო სიახლე ქვეითა გადასასვლელების გვირილობით მოიხატვა გახლდათ.

ცენტრალურ ნაწილს უკვე აქვს ქვეითა გადასასვლელები, რომლებიც გვირილობითაა მოხატული. იდეა სპონტანური იყო და ის ქალაქის მერსბ შოთა მურღულიას ეკუთვნის.

ქუთაისში გვირილობის დღესასწაული ტრადიციულად ყოველი წლის 2 მაისს აღინიშნება და ის „ქუთაის ქალაქობის“ სახელითაცაა ცნობილი. წელს ის რამდენიმე დღე გაგრძელდება.

„გვირილობა“ — „თეთრი გვირილის დღე“ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში დამკვიდრებული საქველმოქმედო დღესასწაული იყო, რომელიც ტუბერკულოზით დაავადებულთა დასახმარებლად ტარდებოდა გაზაფხულზე, აპრილ-მაისში და სამ დღეს გრძელდებოდა.



Silk Up მობილური აპლიკაცია სილქნეტისგან



Available on the App Store
Available on the Google play



PS news.ge



ქუთაისში რეზო ჭეიშვილის ბიუსტი გაიხსნა

ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში ქართველი მწერლისა და დრამატურგის რეზო ჭეიშვილის სახელობის ხეივანი გაიხსნა, სადაც მწერლის ბიუსტი დაიდგა.



ნიკეას ქუჩისთვის 7 მილიონი იხარჯება

ქუთაისში, ნიკეას ქუჩის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. რეაბილიტაციის ფარგლებში ქუჩაზე კეთდება შუა გამყოფი გამწვანების ზოლი, ტროტუარები, ბორდიურები, გარე განათების სისტემები.

სიჭყვას იოსოვს აკითხავლი ემიგრანტის მონანიება

ძვირფასო მკითხველო! მოგესალმებით ქართველი ემიგრანტი შორეული უკრაინიდან. მანამ, სანამ კონკრეტულად შევეხებოდე ჩემი წერილის სათაურს, თუ რის მონანიებას ვაპირებ, მინდა მოგიხსნათ, რა ამძიმებს ჩემს სულს და რამ ვაღამადმევიანა ნაბიჯი სულის გაწმენდისათვის – საქვეყნოდ მოვიხსნი ჩემს მიერ ჩადენილი საქციელი.

წერილი შეეხება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას. წარსულში ვმუშაობდი სახელმწიფო სამსახურში, ყოველთვის მტკიოდა და მტკივა ჩემი სამშობლო, ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი ჩვენთან განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, ვგრძობდი მის მაჩვენებელს, მიხაროდა წარმატებები, ძალიან განვიცდიდი წარუმატებლობას.

დამეთანხმებით, საქართველოში დიდი ცვლილებები განხორციელდა 2004 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში მოვიდა „ნაციონალური მოძრაობა“, მთლიანად შეიცვალა ქვეყანა, ჩატარდა სხვადასხვა ურთულესი რეფორმა, რეფორმა შეეხო თითქმის ყველა სფეროს, განვითარდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა. ყველაზე ელემენტარული პრობლემა, რაც ხალხს აწუხებდა ელექტროენერგია, წყალმომარაგება, საავტომობილო, ქუჩის განათება და სხვა სოციალური პრობლემები აღარ არსებობდა.

არ გამიგოთ ისე, თითქმის ყოველივე აქედან გამომდინარე, დღე და დღე „ნაციონალური მოძრაობის“ ქება-დიდებაში ვათენ-ვალამებდი. პირიქით, ჩემებურად რაღაც ნაკლოვანებებს ვხედავდი და აღვიქვამდი კრიტიკულად. მოხდა ისე, რომ „შელახული იქნა ჩემი პირადი ღირსება (აქ არ მოყვები, თუ რა მოხდა). ვერ ვიპოვე სამართალი და ვიყავი განაწყინებული „ნაციონალური მოძრაობაზე“. ვხედავდი, თუ რა კეთდებოდა ქვეყნის ინფრასტრუქტურაში და სხვა სფეროში, როგორ მოისწრაფოდნენ საქართველოში უცხოელი ინვესტორები.

ნებისმიერ ქვეყანაში არიან ისეთები, ვინც აქებს და ვინც აკრიტიკებს ხელისუფლებას, მე ვიდექი მათ მხარეს, ვინც აკრიტიკებდა.

დადგა 2011 წლის ოქტომბრის თვე, როდესაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მით უმეტეს, ბატონი ბიძინას სახელი გავიხსენიე მქონდა, ვიცოდი, რომ ის საქართველოში მეცნაობას ეწეოდა. ჩამესახა იმედი და ვიფიქრე, გვეშველებოდა, ასევე ეშველებოდა ჩემსავით ღირ-

სებაშელახულ ადამიანს. დრო გადიოდა, ახლოვდებოდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები, ვხედავდი, „ქართული ოცნება“ თანდათანობით ფესვებს იღვამდა, მეც, ჩემებურად, ნაცნობებში, ნათესავებსა თუ მეგობრებში თანადგომას და მხარდაჭერას ვუცხადებდი, თანაც ყველას ვურჩევდი, მხარი დაეჭირათ მისთვის.

დადგა ის „ნანატრი“ 2012 წლის 1 ოქტომბერი – არჩევნების დღე. რა თქმა უნდა, წავედი არჩევნებზე ოჯახთან ერთად და ხმა მივეცი „ქართულ ოცნებას“. არ დამავიწყდება, თუ რა დღეში ვიყავი არჩევნების დასრულებამდე, შედეგების მოლოდინში მომიმატა არტერიულმა წნევამ, შემიპყრო ემოციებმა. უკვე ღამით, როცა გაირკვა, რომ გაიმარჯვა ჩემმა რჩეულმა, სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვურჩევადი ერთმანეთს თანამოაზრენი და ვულოცავდით გამარჯვებას.

გავიდა მას შემდეგ გარკვეული დრო, არავისთვის მითხოვია რამე, არც სამსახური, არც პირადული. რამოდენიმე თვის შემდეგ წამოვედი უკრაინაში და მას შემდეგ აქ ვარ. არ არის დღე, რომ ვიცხოვრო საქართველოს გარეშე, არ ვუყურო ან არ წავეკითხო მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. გავიდა სამი წელიწადი და ამ ხნის მანძილზე არაფერი საქართველოში სასიკეთოდ არ შეცვლილა, შეცვლილა კი არადა, უკან-უკან წავიდა ქვეყანა. ეს მესმის ტელევიზიიდან, ამას ვკითხულობ ვაზეთებში და ამას მიყვებიან საქართველოდან ნაცნობები, ადამიანები, რომლებსაც ვურჩევდი, მხარი დაეჭირათ „ქართული ოცნებისთვის“, ახლა ისინი მირეკავენ და ირონიულად რჩევას მთხოვენ: მომავალ არჩევნებში ვის მისცენ ხმა.

მე ფანატურად შეყვარებული არ ვარ ვინმეზე, ჩემთვის სულერთია, რომელი ქართული პოლიტიკური პარტია იქნება ქვეყნის სათავეში, მთავარია, ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, არ იყოს შანტაჟი, შური და უღისცილობა. მე ფანატურად შეყვარებული ვარ ჩემს ქვეყანაზე! მინდა, ყველა ქართველმა იამაყოს მისი ქვეყნით და ქართველობით. ვერ წარმოიდგენთ, სხვა ქვეყნიდან რა ცუდი მოსასმენი და საცქერია, როცა ხედავ, თუ რა საშინელება ხდება შენს ქვეყანაში, როცა ხედავ, შენ რჩეულ პოლიტიკურ გუნდში არის განხეთქილება, როცა ისინი ჭამენ ერთმანეთს, როცა დაკავებულები არიან მხოლოდ ერთმანეთის ქილიკით და



ავიწყდებათ ყველაზე მთავარი, ავიწყდებათ, იფიქრონ ქვეყნის მართვასა და განვითარებაზე. ხალხნო, რა დროს სექსზე საუბარია, რა დროს ხის გადარგვაზე დასაკარგი დროა, რა დროს დაშნატაყება და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ყურებაა. დროა, მიხედოთ ქვეყანას. მეოთხე წელია, რაც ხელისუფლების სათავეში ხართ და გეკითხებით: რა გაუკეთეთ სამშობლოს, ქართველ ხალხს? მე ისიც მახსოვს, როცა გვპირდებოდით, რომ თქვენი მოსვლიდან მეოთხე წელიწადი ქართველი ხალხისთვის „ზენიტის“ წელი იქნებოდა.

მინდა, მოგაშველოთ აკაკი წერეთლის სიტყვები – „ყოველი არსი, სულიერი და უსული, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება - დაიბადება, იზრდება, დაბერდება, კვდება“. ე.ი. ყოველი დაბადებული ოდესღაც გარდაიცვლება, გარდაცვალებამდე კი რაღაც უნდა გავაკეთოთ, რაღაც სასიკეთო უნდა შევუქმნათ ქვეყანას. თქვენ ღმერთმა მოგცათ იმის საშუალება, რომ მოხდეს მმართველობით ორგანოში, შეგიძლიათ სიკეთის თესვა, ხალხს შეემელოთ გაჭირვებაში, განაამაზე დიდი ბედნიერება არსებობს, განაამაზე უარის თქმა შეიძლება?! ამიტომ ჩემი ერთგული რჩევაა: დროს უქმად ნუ დაკარგავთ და მიხედეთ ხალხს! მე კი, ჩემო მოტყუებულო მე-

გობრებო, ნაცნობებო და ნათესავებო, ვინანიებ თქვენს წინაშე ჩემს მიერ ჩადენილ ცოდვას, გაზეთის საშუალებით საქვეყნოდ გიხდით ბოდიშს შეცდომაში შეყვანისათვის და რჩევისათვის, მხარი დაგვიჭირათ „ქართული ოცნებისათვის“. სწორედ ეს ცოდვა მიმიძიებს სულს, თქვენს წინაშე ჩადენილი ცოდვა, მაგრამ ვიმშვიდებ თავს იმით, რომ მომკვდინებელი ცოდვა არ ჩამიდენია, მომიტყუებთ თქვენც და უფალი ღმერთიც. შეერილს კი დაეპირებოდა ლალო ასათიანის ლამაზი ლექსით: „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე, ეს აწვალდება ცოტენ დადიანს, მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალდება“.

პატივისცემით პაატა ელბაქიძე

P.S. პაატა ელბაქიძე მუშაობდა 1994-1995 წლებში ქალაქ ქუთაისის მერიის „გამარჯვების“ მუნიციპალიტეტის თავდგომარის მოადგილედ; 1996-2008 წლებში – შს ორგანოებში ოპერატიული სამსახურის ინსპექტორის, უფროსი ინსპექტორის, ქვედანყოფილების უფროსის, რეგიონალური განყოფილების უფროსის მოადგილის, განყოფილების უფროსის და შს საქალაქო სამმართველოს უფროსის თანამდებობებზე.

სულიკო ქაბზინაძე-კუხიანიძის გახსენება

ჩვენ სულიკო!

რ წელი გავიდა, წარმოგიდგენია? ექვსი წელია, შენ გაჩერებული ხარ. როგორ ამბობდი? როგორ უნდა გავჩერდეთ! შენ ხომ სულ მოძრაობაში იყავი.

ახლა როგორ გახსიათებენ შენი მეგობრები: — მართალი, გულისხმიერი, კაცივით დაგიდგებოდა გვერდით, სიმართლისთვის არ დაინდობდა საკუთარ შეილსაც. რა დასანანია, რომ ასეთი ადამიანები აღარ არიან ჩვენს ირგვლივ; — ავტო სახამებრიძე. — შემართული, მგრძობიარე, შეუღრეკელი, მაგარი ქალი, მოსიყვარულე ბებია, — იზო ნოზაძე. — გამორჩეული ადამიანი, უტყუარი ალღოს მქონე, უალტერნატივო,

პროფესიული კავშირების ოსტატი. ძალიან უნდოდა, ყველა ერთმანეთთან კარგად ყოფილიყო, მეგობრისა და თანადგომის ეტალონი, — ცაცა დალუნდარიძე.

— საოცარი ბუნების მქონე ადამიანი, „ყარაჩოღელი“, — ციცო კახიანი. — უტყვიანისი, არაჩვეულებრივი მეგობარი, დედა და ბებია, — ნანა ბერაძე. — ძალიან დადებითი ადამიანი იყო. განსაკუთრებით ვიგონებ გუმათის კულტურის სახლში მისი მოღვაწეობის პერიოდს, რომელიც, ფაქტობრივად, მისი გახსნილი იყო. რა ღონისძიება უნდა დაევალებინა კულტურის განყოფილებას, რომ ხუთიანზე არ შეესრულებინა. ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არამარტო თანამშრომლებში, არამედ



გუმათის დასახლების მოსახლეობაში, — კოტე ნიჭაძე. — წარმავალია ყველაფერი ამ ქვეყ

ნად, მხოლოდ ერთი — მოგონება რჩება. ქალბატონი სულიკო ყველა ახლობლის ჭირისა და ღონის გამზიარებელი იყო, — ნათელა დევიძე. — კარგი სპეციალისტი, მკოდენი, უკეთილშობილესი, ყველას მოყვარული, მუდამ გვერდით მდგომი ადამიანი, — ივეტა მარდალიშვილი. თიკო ბარაბაძე ძალიან მოგწონდა. სულ ამბობდი, ახალგაზრდობას უნდა შეეყვაროთ ჩვენი საქმიანობა. თიკოს ახლა ბიჭი შეეძინა, ვიცი, ძალიან გაგიხარდებოდა. დალოცე მისი ოჯახი.

ნაირა სიჭინავა თვალს არიდებს შენს მივადს, საიდანაც შენი სურათი დღესაც დაგყურებს, მტკივნეულად განიცდის შენს წასვლას. გვიგონებთ სულიკო და სანამ ვიქნებით, ალბათ, სულ მოვიგონებთ. კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე
გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსერვიცი)
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401
გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უკ) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86
მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.
(032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
psnews27@gmail.com
www.psnews.ge

რა პრობლემებს აწყდება მოსახლეობა სოფლის კრებების ჩამოყალიბებისას

„ჩამოყალიბებული ნაწილი გაიყვანა, რას ხალხს არაფერს აკითხაო და ახან თაჟისი ხელი შეეხებოდა ჩამოყალიბებას“

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებისათვის მუნიციპალიტეტებში სოფლის საერთო კრებების ჩატარება უკვე დაიწყო. თუმცა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, მოსახლეობის ინფორმირების და კრებების ჩამოყალიბების კუთხით, პრობლემები არსებობს. საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 22 ივლისს მიღებული კანონი მუნიციპალიტეტებში სოფლის/დაბის/ქალაქის საერთო კრებების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საერთო კრება დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტილებისა და ამ ორგანიზაციის წინაშე ინიცირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს, თუმცა, კრებების შედეგების შესახებ სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას სხვადასხვა გამოცდილება აქვს.

როგორც სამოქალაქო განვითარების სააგენტოს („სიდა“) ხელმძღვანელი ზვიად დევედარიანი აღნიშნავს, მისი ორგანიზაციის მიერ, სოფლებში ჩატარებული 80 შეხვედრიდან გაიკრეა, რომ თვითმმართველობები ერიდებიან საკუთარი ინიციატივის აქტიურად გამოხატვას და სოფლის კრებების მიმართ განსაკუთრებული ენთუზიაზმი არც მოსახლეობაში შეინიშნება:

„ჩვენ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, 80-მდე სოფელში შევედით; ვიმუშავეთ როგორც მუნიციპალიტეტებთან, ასევე მოსახლეობასთანაც, რომლებთანაც საინფორმაციო შეხვედრები გვქონდა. გამოიკრეა, რომ ზოგან თვითმმართველობები ერიდებიან საკუთარი ინიციატივის აქტიურად გამოხატვას, შეინიშნებოდა რომ სამინისტროდან ელოდებოდნენ დაავალებდნენ მიღებას. მეორე პრობლემა კი ისაა, რომ განსაკუთრებული ენთუზიაზმი სოფლებშიც არ შეინიშნებოდა. თუმცა, მაინც ვცდილობდით, რომ მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია ყველა იმ საფეხურის შესახებ, რაც უნდა გაიაროს ამ პროცესში ინიციატივის გამოჩენიდან – კრების ჩამოყალიბებამდე.“

კანონმდებლობით კრების ფორმირების რამდენიმე ვერსია არსებობს – ერთი მხრივ, შეიძლება გამოვიყენოთ იყოს ინიციატორი და მეორე მხრივ, თვითონ მოსახლეობა, – აღნიშნავს დევედარიანი და დასძინავს, რომ კრების მოწვევის და ჩამოყალიბების პროცედურა რთულია:

„იმ შესაძლებლობებს, რასაც კრება იძლევა თუ შევადარებთ პროცედურას, რაც მოსახლეობამ უნდა გაიაროს კრების ჩამოყალიბებამდე, ერთმანეთთან შეესაბამისობაში მთლად ვერ მოდის. მაგალითად, კომპეტენციების და უფლებამოსილებების ნაწილი მინიმალისტურია ის ვერსია, რაც დღესდღეობით კანონში გვაქვს. რაღაცნაირად უნდა მოხდეს მოსახლეობის ნაბაზისება, რომ მოსახლეობა თვითმმართველობასთან კომუნიკაციაში აქტიურად ჩაერთოს. თითქოს რჩეული არის იმის შესაძლებლობა, რომ სოფლის მიერ არჩეული ადამიანი პირდაპირ იყოს თვითმმართველობასთან კავშირში, მაგრამ მის არჩევამდე, კრების მოწვევა და ჩამოყალიბება იმდენად რთული პროცესია, თუ ამ ადამიანებს ვინმე არ დაეხმარა, განხორციელდება რთული იქნება. გამოდის, რომ რჩება მეორე ვერ-

სია, გამგებების ინიციატივით მოხდეს კრებების მოწვევა. აქ კი, სამწუხაროდ, შეიძლება ეს კრებები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ. ამის პრაქტიკული მაგალითები უკვე გვქონდა.“


როგორც ვითარება, 80-მდე სოფელში იყო საინფორმაციო შეხვედრა. ნაწილში წავახალისეთ კრებების შექმნის პროცესი; შეტანილია განცხადებები, რასაც წესით, კრების ჩამოყალიბება უნდა მოყვებოდეს. დაახლოებით 30-40 სოფელში რომ შეიქმნას, ეს უკვე მიღწევა იქნება. დავაკვირდებით, რამდენად რთული იქნება პროცესი; თუ აღმოჩნდება, რომ ტექნიკურ სირთულეებთანაც გვაქვს საქმე და სავარაუდოდ იქნება კიდევ, ამ საკითხს სხვა ფორმატში დისკუსიის საგნადაც გავხდით. თუ გვინდა რეალურად წახალისდეს მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობაში, ალბათ, ამ კრების შექმნის პროცედურებიც უფრო მარტივი უნდა იყოს, რომ ადამიანებს, ძალიან დიდი ძალისხმევით გარეშე უნდა შევძლოთ ფორმალური ნაბიჯები და არა ისე რთულად, როგორც ეს დღეს კანონმდებლობით არის მოცემული“, – აღნიშნავს დევედარიანი.

მისივე თქმით, კანონმდებლობის გამარტივების გეგმა ჯერჯერობით არ აქვთ, თუმცა, შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამაზეც იფიქრონ:

„კანონს ვინც წაიკითხავს, დაიბნევა, იმდენად ბევრი გზა და საფეხური გასავლელი იმისთვის, რომ ინიციატივა გამოითქვას მოქალაქეთა ნაწილის მხრიდან, შემდეგ ეს ინიციატივა კრებად იქცეს. 5-6 საფეხური მაინც არის გასავლელი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს გზა გასამარტივებელი იქნება. რა გზით, ამაზე უკვე ხედეგებს შევიშუშავებთ და შემდეგ წარმოვადგენთ. ჯერჯერობით, კრების შექმნის პროცესში ვართ, განცხადებები შევიტანეთ და ველოდებით ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან როგორც ადეკვატური ნაბიჯები იქნება გადადგმული“, – ამბობს დევედარიანი.

მისივე თქმით, 80 სოფლიდან, სადაც სიდა-მ შეხვედრა ჩატარა, არცერთ სოფელში არ დაფიქსირებულა მოსახლეობის მზაობა, რომ კრების ჩატარების სურვილი მათ თავად გამოეთქვათ:

„არსად მოსახლეობამ არ იცოდა ამ კრების შესახებ. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შემთხვევას, როდესაც ჩვენც ჩავვედით და ადგილობრივმა გამგებებმა პარალელ-



ლურად ჩატარა კრება. ოღონდ ეს ძალიან ერთეული შემთხვევაა. სხვაგან, სადაც მივდიოდით, მოსახლეობას ეს ინფორმაცია არ ჰქონდა, არა მხოლოდ სოფლებში, თვითმმართველობებშიც შეხვედრები რომ იმართებოდა, შეიძლება ითქვას, კრებების ორგანიზების კუთხით ყველას ერთნაირი ინფორმირების დონე და მზაობა არ იყო. ზოგან ჰქონდათ ეს ინფორმაცია, გეგმავდნენ კიდევ რაღაცას, ზოგან განხილვის ეტაპზე იყო, ზოგან კი არც ფიქრობდნენ, რომ ეს მნიშვნელოვანია. კანონიც ისეთია, რომ რეალურად, სოფლის კრებების შექმნის ინიციატივა სურვილის ნებაზე და საავალდებულო არ არის. თანაც, ადგილზე თვითმმართველობები მიჩვეულები არიან ცენტრისგან დავალებას და თუ ეს დავალება სავალდებულო არ არის, ამ ნაწილში მაინცდამაინც დიდი ინიციატივით შეიძლება არ გამოიჩინონ“, – ამბობს დევედარიანი და დასძინავს, რომ ორგანიზაცია სოფლებში მოსახლეობის ინფორმირებას მანამ გააგრძელებს, სანამ კრებები არ ჩატარდება.

„დაახლოებით ერთი თვე კიდევ ვიმუშავებთ, რომ კრებები ჩავატაროთ. შემდეგ კი ვიფიქრობთ, პროცესი როგორ გაავრცელოთ“, – აღნიშნავს დევედარიანი.

ფონდის „ტასო“ ხელმძღვანელი მარინა თაბუკაშვილი, რომელიც სოფლებში არსებულ რეალობას კარგად იცნობს, ამბობს, რომ ამ საკითხზე მუშაობის დაწყებამდე სხვა მოლოდინები ჰქონდათ, თუმცა, ადგილზე რეალურად სულ სხვა პრობლემები გადასაჭრელი.

მისი თქმით, კრებების ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სირთულე მოუწესრიგებელ საარჩევნო სიებშია:

„ჩვენი ორგანიზაციის 13 სხვადასხვა გუნდი 19 სოფელში მუშაობს; თითქმის ყველგან ვანყობთ პრობლემას, რომ არ არის დაშტკიცებული საარჩევნო სიები. თქვენ იცით, რომ რეგისტრირებული ამომრჩევლის 20% მაინც უნდა დაეხსნოს კრებას, რომ ის უფლებამოსილი იყოს და საქმე ისე წა-

ვიდეს, როგორც ამას კანონი ამბობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ სიები დამტკიცებულნი არ არის. ამის გამო, ჩვენს ჯგუფებს ადგილობრივ გამგებებთან უწევთ თანამშრომლობა, რომ ეს სიები თვითონ დააბუსტონ, შემდეგ კი, ხელისუფლებამ საარჩევნო სიად, სწორედ ეს გადამოწმებული მონაცემები ცნოს.“

ასე იმუშავა სათემო ორგანიზაციამ „ლელო“ და ლაგოების მუნიციპალიტეტის გამგებამ. ეს კი პროცესს დროში ძალიან წელავს, – ამბობს თაბუკაშვილი.

მეორე სირთულე, რომელზეც ფონდი „ტასო“ ხელმძღვანელი ყურადღებას ამახვილებს, სოფელში რეგისტრირებული მოსახლეობის ადგილზე არყოფნა წარმოადგენს:

„ბევრი ადამიანი, რომელიც რეგისტრირებულია სოფელში, სინამდვილეში იქ არ ცხოვრობს. კანონი კი ამბობს, რომ საერთო კრებას ამომრჩევლის 20% უნდა დაეხსნოს; ანგარიშობს იმ რიცხვიდან, რომელიც რეალურად იქ არ ცხოვრობს. ეს სირთულე პიკს აღწევს ენგურის-პირა სოფლებში, სადაც ნახევარი, თუ მეტი არა, გადასულია გალში და იქ ცხოვრობს, თუმცა ენ. „საზღვრის“ აქვთ არის რეგისტრირებული. არჩევნების დღეს ეს ხალხი გადმოდის და ხმას აქვთ აძლევენ, მაგრამ სოფლის საერთო კრებაზე, შესაძლოა, ვერ გადმოვიდეს. როგორც ყოველთვის, ცხოვრებაში არსებობს განსაკუთრებული შემთხვევები და ამ განსაკუთრებულ შემთხვევებს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს.“

უნდა დაინეროს დოკუმენტი, რასაც თვითმმართველობაც გაიზიარებს, რომ თუ ადგილზე არ არის მოსახლეობა, ვერ იკრიბება ამომრჩევლის 20% საერთო კრების ჩა-

სატარებლად, ეს არ არის დასაბლერება? არის ბევრი სოფელი, სადაც 2 ოჯახი ან საერთოდაც, ერთი ადამიანი დარჩენილი, ეს რეალური კონტექსტი ძალიან კარგად არის გასათვალისწინებელი, როდესაც ასეთი სიახლეები იწვევს კანონში. ეს სირთულეები უნდა აღინეროს; ჩანანერებს დღიურებივით ვაკეთებთ, რომ ანგარიშში ცალკე თავად, სამომავლოდ გასათვალისწინებელ საკითხებად მივანოდოთ როგორც დონორს, ასევე სამინისტროსაც; – აღნიშნავს თაბუკაშვილი და დასძინავს, რომ სოფლის კრების ჩამოყალიბებას არა აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც მოსახლეობის შეგნებულ მონაწილეობას ამ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში:

„თვითმმართველობა ოდესღაც ამ საკითხს მიადგებოდა, მაგრამ როდესაც ადგილზე მოსახლეობა აღმოჩნდება, რომ სოფლისთვის საჭირო საკითხი, თუნდაც ის რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იყოს მოსაგვარებელი, მნიშვნელოვანია მონაწილეობა, ამაშია ზუსტად საერთო კრების სიკეთე. ყველა შემთხვევაში ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე კანონმდებლობაში, ეს არის კანონის სიკეთე, რომლის გახორციელებაც მთლიანად მოსახლეობის მზადყოფნაზე დამოკიდებული. თუმცა, ხალხის მოყვანა ამ კრებაზე და ცნობიერების ამაღლება, მონაწილეობა, ანალიზი საშუალო საქმეა. თუმცა მე იმას არ ვამბობ, რომ ხალხი მზად არ არის ან წინააღმდეგია. რამდენიმე ათეული წელი გავიდა, რაც ხალხს არავინ არაფერს ვკითხებოდა და ამან თავისი ცუდი შედეგი გამოიღო. ახლა ჩვენ ამ შედეგის დაძლევა გვინევს“, – აღნიშნავს მარინა თაბუკაშვილი.

სტატია მომზადებულია პროექტის – „თვითმმართველობაში სოფლის მოსახლეობის ჩართვის მხარდაჭერა“. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“. შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი“

„სახელმწიფო სერვისების კომპიუტერულ გარემოში გახედავად მხოლოდ დიდი ქალაქების ფუნქციონირება აღარაა“

რამდენიმე წლის წინ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის ცენტრში ახალმშენებლობა რომ დაიწყო, გამგეობა-გამომგებელთა აზრით, მორიგი სავაჭრო ან სასაზღვრო ობიექტი უნდა აშენებულიყო. თუმცა, მალევე გაირკვა, რომ იქ საზოგადოებრივი ცენტრი შენდებოდა. საზოგადოებრივი ცენტრი — ეს სიტყვებიც არ იყო ბევრის მთქმელი მოსახლეობისთვის, მაგრამ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთის მიყოლებით იხსნებოდა ეს ცენტრები და მათთან ერთად — სოფლებების მოლოდინი და ინტერესი.

საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ პროექტებს შორის, რომლებსაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს. ცენტრების შექმნის მიზანია, ადგილობრივი მოსახლეობისთვის, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა სოფლებიდან გაუსვლელად გაიზარდოს და ხელი შეეწყოს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამჟამად საქართველოს მასშტაბით 33 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს, 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სერვისით ისარგებლოს. ცენტრში, კომფორტულ გარემოში, მოსახლეობა მარტივად იღებს: დაბადების მოწმობას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ატესტატს; არეგისტრირებს ქონებას, მიწის ნაკვეთს; ასევე შესაძლებელია პენსიის მიღებაზე განაცხადის გაკეთება, უმწეოთა ბაზაში დარეგისტრირება; ტექნიკის დაჯავშნა მიწის დამუშავებისთვის და სხვა. გარდა სახელმწიფო სერვისებისა, საზოგადოებრივი ცენტრში შესაძლებელია „ლიბერთი ბანკისა“ და „მათიკომის“ მომსახურების მიღებაც. ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით. საზოგადოებრივი ცენტრებში ხელმისაწვდომია უფასო უსადენო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა. რეკორდულად სწრაფად აშენდა გეგუთის საზოგადოებრივი ცენტრი — 5 თვეში და 2014 წლის 25 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა.

სახლეობას ჩვენს ცენტრში შეუძლია, ისარგებლოს ადვოკატის უფასო კონსულტაციებით.

მაია ფესტენიძე, ოპერატორი: — მე გეგუთელი ვარ. როდესაც გავიგე, რომ აქ საზოგადოებრივი ცენტრი შენდებოდა და გამოცხადებული იყო კონკურსი ვაკანსიებზე, შევიტანე განაცხადი, შეირჩა ჩემი კანდიდატურა, გავიარე სტაჟირება და ცენტრის გახსნის დღიდან ვემსახურები მოქალაქეებს. არის დღეები, როცა 50-ზე მეტი ადამიანი მომსახურება გვიწევს, რომელთა შორის ბევრი ჩემი ნაცნობია, რადგან ადგილობრივი ვარ. თითქმის ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ ჩვენი ცენტრიდან მოქალაქე უკმაყოფილო წასულიყოს.

შალვა წიქორიძე (მომხმარებელი): — 16 წლის რომ გავხდი, პირადობის მოწმობის ასაღებად მშობლები წამყვან ქუთაისში. ცოტა ხნის წინ დამეკარგა ის პირადობის მოწმობა და ახლა აღსადგენად აქ მოვედი, რა თქმა უნდა, დედის გარეშე, აქვე ვცხოვრობ და 5 დღეში აქვე ავიღებ ახალ პირადობის მოწმობას. ძალიან კარგია, რომ სოფელში ასეთი თანამედროვე საზოგადოებრივი ცენტრი გვაქვს.

ანა ვაჩიბერაძე (მომხმარებელი): — ჩემს პირადობის მოწმობას ვადაჰქონდა გასული, მაგრამ ახლის ასაღებად წყალტუბოში წასვლელად ვერადავერ მოვიცალე. ამასობაში გეგუთში გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი და წინასწარ არც კი დამიგვემავს, ისე შემოვიარე ცენტრში, დავეტოვე საჭირო დოკუმენტები და რამდენიმე დღეში ახალი პირადობის მოწმობის მფლობელიც გავხდი.

იზო ჯანლიძე (მომხმარებელი): — სოფელში ბუნებრივი გაზი რომ შემოიყვანეს, ოჯახში ისე ვერ შეიყვანდი ჭიკრიკი მიყვანილ გაზს, თუ საჯარო რეესტრში არ იყო ქონება დარეგისტრირებული. ამ დარეგისტრირებას კი, წყალტუბოში რამდენჯერმე ჩასვლა ჭირდებოდა, რაც მაშინ ბევრმა ვერ შეძლო. ახლა კი აქვე, სახლიდან 2 კილომეტრში მოვავავერ ეს პრობლემა და გაზიც შემოვიყვანეთ. მაღლობა ყველას, ვინც ეს საზოგადოებრივი ცენტრი სწორედ ჩვენს სოფელში გახსნა. გეგუთის საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში განთავსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლობაც.

გრიგოლ სანელიძე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ გეგუთში): — ახალი დანიშნული ვიყავი ამ თანამდებობაზე, როცა გადაწყდა ცენტრის მშენებლობის საკითხი და საძირკვის ჩაყრის დღიდან გახსნის დღემდე ერთი წუთითაც არ მიგვეტოვებია უყურადღებოდ ეს მშენებლობა. ჩვენ სოფლის გამგეობის ძველ შენობაში ვიყავით განთავსებული. მივიღეთ შემოთავაზება იუსტიციის სამინისტროდან, რომ საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში ჩვენთვისაც გამოეყოფოდა ფართი, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდით და ახლა ჩვენც ვსარგებლობთ ამ თანამედროვე შენობის მრავალმხრივი შესაძლებლობებით. გამგეობის შენობა კი გეგუთის საჯ



არო სკოლას დაფუძნეთ, მანამდე, სანამ სკოლის ახალი შენობა აშენდება. საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა ამ ზონაში მართლაც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო. სამი ტრანსპორტი უნდა გამოეცვალა ჩვენს მოსახლეობას, დაეხარჯა დრო და სახსრები, რომ წყალტუბოს სერვის-ცენტრში მიეღო შესაბამისი მომსახურება. ახლა კი სწრაფად და მარტივად ხდება მათთვის სასურველი სერვისების მიღება.

თეა წულუკიანი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი: „სახელმწიფო სერვისების კომფორტულ გარემოში გაცემა მხოლოდ

დიდი ქალაქების ფუნქციონირება აღარაა. ახალი წიგნები, ელექტრონული ბიბლიოთეკა და ელექტრონულ სერვისებზე წვდომა არ უნდა იყოს მხოლოდ ქალაქებში მცხოვრები ადამიანებისთვის. ჩვენ გვინდა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა იყოს ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის თანასწორი, როცა საქმე ეხება მიწის რეგისტრაცია, საკუთრების რეგისტრაცია, პასპორტის და პირადობის მოწმობის აღებას, წიგნს, ბიბლიოთეკას, და ა. შ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ცენტრებში ჩვენი პარტნიორების დახმარებით მარტივად შეუძლიათ ჩვენს პენსიონერებს პენსიის მიღება, ახალგაზრდებს ინ-

ტერნეტით სარგებლობა, მობილური ქსელის მომსახურება, ასევე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სერვისების მიღება“.

საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. საზოგადოებრივი ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი: www.centri.gov.ge

ირმა მარაღალიშვილი